პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 162 (5192)

17 აგვისტო, შაბათი. 1974წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთი

I ლიგა

ქუთაისის „ტორპედოს" და ბაქოს „ნეფთჩის" შეხვედრაში ხაუკეთესო თამაშით გამოირჩინა თავი „ტორპედოს" თავდამსხმელმა გ. გაბიჩვაძემ, რომელმაც 2 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

სურათზე: გაბიჩვაძეს გააქვს პირველი ბურთი.

ლ. ფარულაშვილის ფოტო.

(მატჩის ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე).

## სოფლის სპორტსმენთა ფინალური სტარტები

სარატოვი, 15 აგვისტო. ქალაქის სპორტის სასახლეები და სტადიონები მოკავშირე რესპუბლიკების ალმებითაა მორთული. ტარდება სოფლის II საკავშირო სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრებები.

თხუთმეტი სასოფლო სპორტსაზოგადოება 10 მილიონზე მეტ სპორტსმენსა და 65 ათას ფიზკულტურულ კოლექტივს აერთიანებს. მათ საკმაოდ დიდი ბაზა აქვთ: სოფლებსა და დაბებში ფიზკულტურელთა განკარგულებაშია 876 სტადიონი და 2390 სპორტული დარბაზი, ათი ათასობით სპორტული მოედანი.

თითქმის 10 მილიონი ფიზკულტურელი მონაწილეობდა თამაშების პროგრამით გამართულ მასობრივ შეჯიბრებებში ფინალის საგზურებისთვის. მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებმა გუნდებმა უკვე ჩაიწერეს პირველი ქულები ცხრილებში. მოეწყო შეჯიბრებები ჭადრაკსა და შაშში, ცხენოსნობაში, ტყვიის სროლაში. სარატოვში ჩატარდება ფინალური შეჯიბრებები სპორტის რვა სახეობაში — მძლეოსნობასა და ძალოსნობაში, ველოსპორტში, ფრენბურთში, ხელბურთში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში.

დღეს სარატოვში ასპარეზობა დაიწყეს ხელბურთელებმა. ეს სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება სოფლის ფიზკულტურელთა შორის. მას უკვე 176 ათასი კაცი მისდევს. სოფლის გუნდები — „მელიორატორი", „ყაირათი" და „მეხსული" საკავშირო პირველობაში მონაწილეობენ („ა" კლასის პირველ ჯგუფში). სარატოვში ასპარეზობენ ყველა სასოფლო სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები. მათ შორის არიან პირველ თამაშებში გამარჯვებული უკრაინის „კოლოსი", 1973 წლის შეჯიბრებაში I ადგილზე გასული აზერბაიჯანის „მეხსული". ახლა ფავორიტებად ასახელებენ მოლდავეთის, რსფსრ-ს, საქართველოს, სომხეთის ხელბურთელებს. პირველნი მოედანზე გამოვიდნენ ყაზახეთისა და ესტონეთის სპორტსმენები. მატჩი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ესტონელებმა ორი გოლით მეტი გაიტანეს და შეხვედრა მოიგეს. მონაწილენი დაყოფილი არიან სამ ჯგუფად.

ა. სიროვატკინი,
ი. ვანიატი.



## რაჰმა დაიბრუნა ტიტული

მონრეალი, 15 აგვისტო. 28 წლის ომსკელმა სტუდენტმა ედუარდ რაპმა დაიბრუნა ველოსპორტში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. სსრ კავშირის ჩემპიონმა და შარშანდელი მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორმა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის პირველმა მოიგო ოქროს მედალი. 1000 მეტრზე გიტში რაპმა დიდებული შედეგი აჩვენა — 1.07,61.

II ადგილი წილად ხვდა იტალიის ჩემპიონს, 22 წლის ფ. ფეროს — 1.07,68, ბრინჯაოს მედალი შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს, პოლონელ ი. კიეკოვსკის ერგო — 1.07,79. ხსენებულ შეჯიბრებაში 28 ველოსიპედისტი მონაწილეობდა.

მედლებისთვის ბრძოლას წარმატებით განაგრძობენ სხვა საბჭოთა სპორტსმენებიც. მაგალითად, ტულელმა თ. პილშჩიკოვამ და ლენინგრადელმა გ. ცარიოვამ ქალთა სპრინტერული რბოლის მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. მეორე ლენინგრადელმა ველოსიპედისტმა ვ. ოსოკინმა გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში (4 კმ) 5.02,60 აჩვენა. იგი მოხვდა თექვსმეტ უძლიერესს შორის. ამ სახეობაში ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აქვს ჩეხოსლოვაკიელ პ. დოლეჟალს — 4.54,08.

## იაპონელი ტანმოვარჯიშეები ვარნაში მიემგზავრებიან

ტოკიო, 16 აგვისტო. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამართულ ბოლო შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელიც იოკოჰამაში ჩატარდა, იაპონიის 38 საუკეთესო ტანმოვარჯიშის მონაწილეობით, ვარნის ხარბიელზე გამოსვლის უფლება 14 უძლიერესმა მოიპოვა. ესენი არიან: ვაჟები — ს. კასამაცუ, ე. კენმოცუ, ს. კატო, მ. ცუკაჰარა, ჰ. კაჯიამა, ფ. ხონმა, ტ. ფუძიმოტო; ქალები — მ. მაცუხისა, ფ. ხაიასიდა, ტ. უენო, ტ. იოსიკავა, კ. მანო, ნ. იაბე, მ. იშიმურა.

ამ ტანმოვარჯიშეთაგან უმეტესობა ცნობილი სპორტსმენია. კატო, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონია. მიუნჰენის ოლიმპიადაში და სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ კენმოცუ, ცუკაჰარა, კასამაცუ.

ქალთა გუნდში შედარებით ბევრია „ახალწვეული", მაგრამ ლიდერად მაინც გამოცდილი სპორტსმენი მაცუხისა რჩება.

იაპონიის პრესაში ბევრი არაფერი დაწერილა მსოფლიო პირველობისთვის ტანმოვარჯიშეთა გუნდის მზადებაზე. მათი საწვრთნელი შეკრებები და შესარჩევი შეჯიბრებები პროვინციაში ტარდებოდა იმ მიზნით, რომ გუნდის მზადებაში შეტანილი ყოველგვარი სიახლე საიდუმლოდ დარჩენილიყო.

პირველი შეკრებები ჯერ კიდევ თებერვალში მოეწყო. შემდეგ უძლიერესებს კიდევ ბევრჯერ ჰქონდათ ერთად წვრთნის შესაძლებლობა. ამ შეკრებებზე, როგორც ვაჟთა გუნდისთვის პასუხისმგებელმა ს. ცუკავაკიმ განაცხადა, ამუშავებდნენ ხერთული ვარჯიშის „ულტრა-სის" ახალ ვარიანტებს და სწავლობდნენ მთავარი კონკურენტების, პირველ ყოვლისა სსრ კავშირისა და გდრ-ის ტანმოვარჯიშეთა შესაძლებლობებს. მრავალჯერ ნახეს მეტოქეთა საწვრთნელ მეცადინეობებზე და მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე გადაღებული ფილმები.

იოკოჰამის შესარჩევი შეჯიბრებების შესახებ გაზეთებში მოკლე ცნობები დაიბეჭდა, მაგრამ მაინც ნათელია, რომ იაპონელ ტანმოვარჯიშე ვაჟთა კლასი ამაღლდა ბოლო ოლიმპიადის შემდეგ. ისინი მზად არიან ვარნაში დაამტკიცონ, რომ მსოფლიოში ბადალი არა ჰყავთ. ტანმოვარჯიშე ქალებს, რომლებსაც მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში VII ადგილი ხვდათ, ახლა საგრძნობლად გართულებული პროგრამა აქვთ და ეცდებიან უკეთესი ადგილიც დაიკავონ.

## სამგზის ჩემპიონი

დნეპროპეტროვსკი, 15 აგვისტო. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ა. მატიუხინა ტრამპლინიდან 26,3 მეტრზე გადახტა. ეს იყო ბოლო სახეობა წყალქვეშა სპორტის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში. 19 წლის სპორტსმენმა რამდენიმე საპატიო ტიტული მოიპოვა. იგი პირველად გახდა აბსოლუტური ჩემპიონი, საუკეთესო იყო სლალომსა და ტრამპლინიდან ხტომაში, მოიპოვა სლალომში ქვეყნის რეკორდსმენის სახელი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

საერთაშორისო კლასის ნორმატივი შეასრულა 17 წლის მინსკელმა სპორტსმენმა, უნივერსიტეტის სტუდენტმა ინესა პოტეხმა. იგი 15 წლიდან არ თმობს პირველობას წყლის თხილამურებით ფიგურულ სრიალში.

აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მინსკელი ა. კადილინსკი. ოქროს მედლები მოიპოვეს, აგრეთვე, სოჭელმა ე. ტიცევმა (სლალომი), მინსკელმა ვ. მელნიკმა (ფიგურული სრიალი), მოსკოველმა ა. რადუშინსკიმ (ხტომა). გუნდური გამარჯვება მოსკოვის ნაკრებს ხვდა.

## ვენა — უძლიერესთა მასპინძელი

18-25 აგვისტოს ავსტრიის დედაქალაქი ვენა ჩვენი კონტინენტის უძლიერესი მოცურავეების, წყალში მხტომელებისა და წყალბურთელების მასპინძელი იქნება. ასპარეზობაში მოსალოდნელია 27 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენის გამოსვლა. ჩემპიონატს მოემსახურება 450 ჟურნალისტი.

სსრ კავშირის სამივე სახეობის ნაკრები გუნდები კარგად მოემზადნენ ამ ასპარეზობისთვის. მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ს. ვოიცეხოვსკიმ ვენის საგზური მისცა 35 საბჭოთა მოცურავეს. წყალბურთელთა ნაკრების მთავარმა დამრიგებელმა ა. ბლიუმენტალმა გუნდში დატოვა მიუნჰენის ოლიმპიადის მხოლოდ 5 ჩემპიონი — ა. ბარკალოვი, ა. კაბანოვი, ა. დრევალი, ა. დოლგუშინი და ვ. ჟმუდსკი. წყალში მხტომელებშიც არიან ახალბედები — ა. კოსენკოვი, ე. ვოიცეხოვსკაია და ტ. შტირიოვა, რომლებიც გამოცდილ სპორტსმენებთან — თ. საფონოვასთან, ი. კალინინასთან, ა. გენდრიკსონთან და ვ. სტრახოვთან ერთად დაიცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას.

## „ეს ჭაბუკი კარგად ითამაშებს"...

ეს სიტყვები ეკუთვნის 19 წლის პოლონელ იასინსკის, რომელმაც ჩოგბურთელთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში პირველი მატჩი წააგო 18 წლის თბილისელ გ. ელერდაშვილთან. ელერდაშვილი ენერგიულად უტევდა მეტოქეს და დაამარცხა იგი ანგარიშით 6:4, 6:4.

— ელერდაშვილი მთელი მატჩის მანძილზე ბადესთან თამაშობდა და მე ვერ შევძელი ამ ნიჭიერი ჩოგბურთელის უკანა ხაზზე დაკავება, — თქვა შეხვედრის შემდეგ იასინსკიმ.

მართალია, მეორე შეხვედრაში ელერდაშვილი დამარცხდა მოსკოველ კოროტკოვთან, მაგრამ ეს მოხდა დიდი ბრძოლისა და წინააღმდეგობის შემდეგ — 6:4, 1:6, 1:6.

საბჭოთა ჩოგბურთის ვეტერანმა, 35 წლის ვ. ეგოროვმა დაამარცხა რუმინელი ხერედაუ — 3:6, 6:4, 6:2.

ქალთა შეხვედრებში ჩმირიოვამ მოუგო პოლონელ ვლახოვიჩს 6:2, 6:3, ბირიუკოვამ — ჩეხოსლოვაკიელ გიბლეროვას — 2:6, 7:5, 6:3, ბაკშეევამ სძლია ფილინოვას — 6:2, 7:5.

შეჯიბრება გრძელდება.

## პირველი მატჩები

ტალინი, 15 აგვისტო. გუშინ აქ დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი მფრინავი-კოსმონავტის ი. გაგარინის პრიზზე. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის II ნაკრები და ესტონეთის გუნდი. დაძაბულ ბრძოლაში წარმატებას ტურნირის მასპინძლებმა, ესტონელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს — 76:74.

საინტერესო იყო სსრ კავშირის I ნაკრებისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდის თამაში. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 100:68 (53:27). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ამ შეხვედრაში იყო ა. სალნიკოვი, რომელმაც თავის კოლექტივს 24 ქულა შესძინა. ჩეხოსლოვაკიის გუნდში თავი გამოიჩინეს გ. პეტერმა და ზ. დოუშამ (17-17 ქულა).

## მარცხი ოთხივე შეხვედრაში

მოსკოვი, 14 აგვისტო. ბულგარეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან შეხვედრით დაამთავრა საკონტროლო მატჩების სერია საბჭოთა ქვეყანაში. ბულგარელები დღევანდელ შეხვედრაშიც დამარცხდნენ — 59:75 (28:39).

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში ბულგარეთისა და სსრ კავშირის კალათბურთელები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს უმაღლეს დონეზე. ორივე მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს საერთო ანგარიშით 171:111.

დადებითი ბალანსით დაამთავრა სპარინგ-შეხვედრები სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმაც. ორი შეხვედრის ჯამში მან გაიმარჯვა ანგარიშით 147:120.

როგორც ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელებმა განაცხადეს, გუნდი ევროპის ჩემპიონატის წინ დარჩენილ დროს აქტიურ დასვენებას მოახმარს. საბჭოთა კალათბურთელები კი კიდევ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ.

# ჯაჭვის ხიდიდან თეთრ ხიდამდე

10—11 აგვისტოს ქუთაისში მდინარე რიონზე ჩატარდა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება სანიჩბოსნო სლალომში ბაიდარებითა და კანოეებით. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რსფსრ-ს, უკრაინის, ლატვიის, საქართველოს, სომხეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის 100-მდე უძლიერესი სპორტსმენი.

საასპარეზოდ უკონკურსოდ დაუშვეს ოთხი ქუთაისელი სპორტსმენი.

შეჯიბრება საინტერესო იყო იმით, რომ სარბიელზე გამოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი სლალომისტები: მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების მონაწილენი — ბ. ჰერცოვა-ჰერცბერგი (ლატვია), გ. ნასყიდაშვილი (საქართველო), ჰ. კემერსი (ლატვია), ს. ციცქიშვილი (საქართველო), ტ. ქუკოვი (ლენინგრადი) და სხვ. სპორტსმენებს 750-მეტრიანი დისტანცია ჰქონდათ გასავლელი. ტრასაზე 26 კარი იდგა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებამ. ბრძოლა თავიდანვე გ. ნასყიდაშვილს, ს. ციცქიშვილს, ნ. ცხოვრებოვსა და ლატვიელ ჰ. კემერს შორის გაიმართა. უიღბლო გამოდგა ქართველი სპორტსმენების პირველი ცდა. შეჯიბრების დროს წყალმა დაიკლო. სპორტსმენებს ნერვიულობა დაეტყოთ, შეცდომები დაუშვეს და ჰ. კემერს დაწინაურების საშუალება მისცეს. მაგრამ მეორე ცდაზე ჩვეული ოსტატობა გამოიჩინა გ. ნასყიდაშვილმა. მან მხოლოდ 10 საჯარიმო ქულა მიიღო, 282 ქულით ჩამოიტოვა ყველა მეტოქე და I ადგილი დაიკავა. ჰ. კემერსი 287 ქულით II ადგილზეა. თბილისელმა ს. ციცქიშვილმა, მართალია, ტრასა უშეცდომოდ გაიარა, მაგრამ დრო მეტი დახარჯა და 298 ქულით III ადგილზე აღმოჩნდა. IV ადგილი დაიკავა ნ. ცხოვრებოვმა.

ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელი დაიმსახურა ბ. ჰერცოვა-ჰერცბერგმა (456 ქულა), რომელმაც მაყურებელს სლალომის უმაღლესი ტექნიკა უჩვენა. 280 ქულით II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ნ. სელეზნიოვა, მესამე იყო ნ. კონოვალოვა (ლატვია, 287 ქულა).

საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა შეჯიბრება ერთადგილიანი კანოეებით. მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩა თბილისელი ვ. როსტენკო I ადგილზე გასულ ლენინგრადელ ი. ლაპას (354 ქულა). III ადგილი მოიპოვა გ. სტროგანოვმა (ლენინგრადი) — 369 ქულა.

ძმები ბ. და ი. კაშურნიკოვები 293 ქულით III საპრიზო ადგილზე გავიდნენ ორადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში. პირველნი იყვნენ ლენინგრადელები ვ. ტაბაჩნიკოვი და ი. სმირნოვი (276 ქულა). II ადგილი ხვდათ ა. კულოვსა და ს. მიხაილოვს (ორივე — ლენინგრადი) — 286 ქულა.

საერთო გუნდური შედეგები: I — ლატვია (83 ქულა), II — ლენინგრადი (91), III — უკრაინა (106), IV — საქართველო (134).

საქართველოს სლალომისტებმა ვ. როსტენკომ და ნ. ცხოვრებოვმა პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ სიგელები და სამკერდე ნიშნები.

ფ. ლერიძე.







• • •

სურათებზე: ზევით — გ. ნასყიდაშვილი შეჯიბრების დროს; ქვევით — ვ. როსტენკო (მარცხნივ); შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი. ავტორის ფოტო.

## წერილი რედაქციას

# არც ასე იყო საქმე!

ქართულ სპორტს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. გასაკვირი არ არის, რომ გულშემატკივრები დაუყოვნებლივ გამოეხმაურებიან ხოლმე ჩვენი სპორტსმენების ყოველ წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ასე მოხდა ამას წინათაც, როცა დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ტანვარჯიშულ მრავალჭიდში სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის, რომელშიც ქართველი ტანმოვარჯიშეებიც მონაწილეობდნენ. გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე დაიბეჭდა დონის როსტოვიდან მოსული ცნობა, თითქოს ნ. დრონოვა აშკარად მოუმზადებელი გამოვიდა სარბიელზე, ხოლო რუსუდან სიხარულიძეს „აკლდა ბრძოლის ჟინი". რაც მთავარია, აღნიშნული ფაქტიდან ნაჩქარევად გამოიტანეს დასკვნა, რომ „საერთოდ ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა მაღალკვალიფიციური ტანმოვარჯიშეების აღზრდას", რომ „იუნიორთა ასპარეზობაში საქართველოს ტანმოვარჯიშეები მუდამ მოწინავეთა რიგებში არიან, მაგრამ მათს შემდგომ დაოსტატებაზე, ეტყობა, სათანადოდ აღარავინ ზრუნავს", და ბოლოს — „ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე რესპუბლიკა, როგორიც საქართველოა, დიდ ასპარეზობაში ორი-სამი ძლიერი სპორტსმენის გამოყვანით ფონს ვერ გავა". საქმე ისაა, რომ ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება. ნ. დრონოვას, რომელიც შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა, ერთ წელიწადზე მეტია მაჯების სერიოზული ტრავმა საშუალებას არ აძლევს მთელი დატვირთვით იმუშაოს. ამ შეჯიბრებაში მის წარუმატებლობას (XIV ადგილი) ბევრი მიზეზი ჰქონდა. პირველ დღეს დრონოვა იარაღიდან მოწყდა (ამ დღის შედეგებით იგი მე-60 ადგილზე იყო), რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა საბოლოო მაჩვენებლებზე (XIV ადგილი). თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, დრონოვა არც ისე ცუდად გამოვიდა, თუმცა ჩვენ მისგან მეტს მოვითხოვთ. რაც შეეხება რ. სიხარულიძეს, იგი შეჯიბრების წინა დღეებში საავადმყოფოში იწვა და იქიდან ძლიერ დასუსტებული პირდაპირ შეჯიბრებაზე წამოვიდა. საავადმყოფოდან მომავალი მანქანით ავარიაში მოჰყვა და ფსიქიური ტრავმაც მიიღო, მაგრამ გუნდს მაინც არ უღალატა და სარბიელზე გამოვიდა. საქმეში ჩახედული ადამიანი ამ გადაწყვეტილებაში მხოლოდ ვაჟკაცურ შემართებას და სულიერ სიმტკიცეს დაინახავდა, მაყურებლებმა კი მასში მხოლოდ „საბრძოლო ჟინის დაქვეითება" შენიშნეს. არასწორი იყო მეორე ცნობა, თითქოს შეჯიბრებაში სულ ორი-სამი ქართველი ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა. ფაქტიურად, საქართველომ გამოიყვანა ექვსი ტანმოვარჯიშე: პ. შამუგია, ნ. დრონოვა, რ. სიხარულიძე, მ. ბახია, ე. ჯაიანი და ქ. გოგიჩაიშვილი. მათგან კარგად იასპარეზა პ. შამუგიამ, რომელმაც III-V ადგილები გაიყო.

1972-73 წლებში ჩვენმა იუნიორებმა შესაბამისად VII-VIII ადგილები დაიკავეს. ამავე წლებში ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლას ბავშვთა ცენტრალურმა სპეციალიზებულმა ტანვარჯიშულმა სკოლებმა, განათლების განყოფილების სკოლამ და სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპეციალიზებულმა სკოლამ სულ 3 ტანმოვარჯიშე მისცეს. ასეთ ვითარებაში ნაკრები გუნდის რა წარმატებებზე შეიძლება ლაპარაკი?

1973-74 წლებში პ. შამუგიას გამარჯვება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში და ორ სახეობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, რ. სიხარულიძის წარმატება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე თავისუფალ ვარჯიშში, განა არაფერს ნიშნავს? ჩვენს ტანმოვარჯიშეებს დიდი ასპარეზი ელით. გაივლის ცოტა დროც და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშეები მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლებასაც მოიპოვებენ. შემდეგ ქართველი ტანმოვარჯიშეები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სარბიელზე გამოვლენ. მათ ძალიან მძიმე ბრძოლა ელით, რადგან ძლიერი მეტოქეები მომრავლდნენ, პროგრამა გართულდა და მოთხოვნებიც გაიზარდა.

გასაკეთებელი ძალიან ბევრია და დიდი შრომაც დაგვჭირდება. განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა იმუშაოს ნინო დრონოვამ, რადგან ტრავმამ მას ძალიან შეუშალა ხელი. დრონოვამ თავისი პირადი გეგმა უნდა გაზარდოს და მოიპოვოს მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლება, ხოლო ხალხთა სპარტაკიადაში საპრიზო ადგილზე გავიდეს. ამისთვის მან დარჩენილ დროში საგრძნობლად უნდა გაამდიდროს თავისი კომბინაციები ახალი ორიგინალური, რთული ილეთებითა და ნაერთებით. მიღწეულს არც პ. შამუგია და რ. სიხარულიძე უნდა დასჯერდნენ. სპორტულ ტანვარჯიშში მოთხოვნები შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იზრდება. ამიტომ ამ სპორტსმენებსაც კომბინაციების სისტემატურად განახლება და გართულება მართებთ. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშეები მომავალ სპარტაკიადას სათანადოდ მომზადებული შეხვდებიან და გულშემატკივრებს იმედს არ გაუწბილებენ.

მ. ჯუღელი,
სპორტული ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# მშრომელთა დასვენება — ყურადღების ცენტრში

ზესტაფონის რაიონში დიდი ყურადღება ექცევა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა დასვენებას. წლეულს აქ გაიცა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების 250-ზე მეტი საგზური, მოეწყო 12 ექსკურსია როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო 240 მშრომელმა.

კიდევ უფრო გაუმჯობესდება სოფლის მშრომელთა შვილების დასვენების ორგანიზაცია. მათთვის წლეულს გაიცა ნიკორწმინდის პიონერთა რაიონული ბანაკის 100 საგზური. რესპუბლიკურ ბანაკში ისვენებდა 40, ბავშვთა სანატორიუმებში — 10, სოფელ არგვეთში მოწყობილ მოსწავლეთა შრომისა და დასვენების ბანაკში — 80 ბავშვი.

ბაკურიანის რაიონულ ბანაკში წლეულს 600-ზე მეტი ბავშვი დაისვენებს.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

# სპორტული ლანჩხუთი

დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა II თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ხელბურთსა და ჭადრაკში. მძლეოსანთა ასპარეზობაში 120 ქულით I ადგილი დაიკავა ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. II საპრიზო ადგილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებს ხვდათ, III — ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს.

ხელბურთელთა ტურნირში თავი გამოიჩინა ადგილობრივი ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. მან მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო. ჭადრაკში დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები (ყოველ გუნდში 3 ვაჟი და 1 ქალი იყო) ფიზკულტურის კოლექტივების უმრავლესობამ შეასრულა. ამიტომაც შეჯიბრებას მასობრივი ხასიათი მიეცა. I ადგილი დაისაკუთრეს ხორეთმოედნის კოლმეურნე სპორტსმენებმა. მათ ყველა მეტოქე დაამარცხეს და ჩემპიონის წოდებასთან ერთად გარდამავალი თასიც დაისაკუთრეს.

აღნიშნული 3 სახეობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში 856 ქულით ლიდერობს ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელთა კოლექტივი.

• • •

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში „ოქროს თავთავის" პრიზზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შუხუთისა და ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობათა ფიზკულტურული კოლექტივები. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. გამარჯვებულის ვინაობა ვერც დამატებითმა დრომ გაარკვია. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმოების სერია, რომლის შემდეგაც საპატიო პრიზი ჩიბათელ ფეხბურთელებს ხვდათ.

• • •

ბოლო ხანს შესამჩნევად გააუმჯობესა სპორტული საქმიანობა ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივმა (საბჭოს თავმჯდომარე ინსტრუქტორი რ. ჩხარტიშვილი). კოლექტივში დიდი ყურადღება ეთმობა სასწავლო-სპორტული მუშაობის დონის ამაღლებას.

ამ დღეებში ჩატარდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ფრენბურთში, ხელბურთში, ჭადრაკსა და ფეხბურთში. ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა ტურნირები VI აგროუბნის სპორტსმენებმა მოიგეს. ხელბურთში უძლიერესი იყო IV აგროუბნის გუნდი. მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ი. კვერენჩხილაძემ.

ი. ებრალიძე.

## მომავალი გემმშენებლები

ორჯონიკიძეაბადში (ტაჯიკეთის სსრ) ჩატარდა მოსწავლეთა შეჯიბრება გემსამოდელო სპორტში, რომელიც ბოლო წლებში ყველაზე წარმომადგენლობითი იყო საბჭოთა კავშირში. შეჯიბრებაში ჩაებნენ შუა აზიის რესპუბლიკების, ყაზახეთის, უკრაინის, საქართველოს და აზერბაიჯანის სპორტსმენები, რომლებმაც სარბიელზე გამოიტანეს თერთმეტი სახის მექანიკური რეზინისძრავიანი გემის მოდელები. გაიმარჯვეს უზბეკეთის ნორჩმა მოდელისტებმა. II ადგილზე გავიდნენ ტაჯიკეთის წარმომადგენლები (მათი გუნდის ერთადერთმა წევრმა გოგონამ, ნურეკელმა მეხუთეკლასელმა მოსწავლემ ა. ასლანოვამ ნავის საუკეთესო მოდელი გამოიტანა). III ადგილი ხვდათ ყირგიზეთის სპორტსმენებს.

გემსამოდელო სპორტს დაახლოებით 30 წლის წინათ ჩაეყარა საძირკველი და დღეს უკვე დიდად პოპულარულია შუა აზიის რესპუბლიკების ბავშვებში. საინტერესოა, რომ გუნდური პირველობის სამივე პრიზიორი „სახმელეთო" რესპუბლიკების წარმომადგენელია.

ვ. ბუჩკოვსკი.
(საკდესის კორ.).

დუშანბე.

## შენდება სპორტული უკრაინა

ახლახან პოლტავაში ზეიმით აღინიშნა უკრაინის ამ უძველესი ქალაქის დაარსების 800 წლისთავი. დღესასწაულის პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო სპორტულ შეჯიბრებებსაც. ასპარეზობა ჩატარდა ახალ 30.000-ადგილიან სტადიონზე. ამ სპორტულ კომპლექსში შედის, აგრეთვე, მძლეოსნური მანეჟი, სადაც მთელი წლის მანძილზე შეუძლიათ ვარჯიში „სპორტის დედოფლის" რაინდებს.

წლეულს მარტო პოლტაველებს როდი აქვთ სპორტული ახალსახლობა. დონეცკში, ოდესაში, სევეროდონეცკში მწყობრში ჩადგება სპორტის სასახლეები, რომელთაგანაც თითოეული 5000 მაყურებელს იტევს. სულ რესპუბლიკაში ყოველწლიურად მწყობრში დგება ასობით სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, ტირი, ათასობით უმარტივესი სპორტული დარბაზი.

კარგად მოწყობილი სპორტული ბაზები აქვთ რესპუბლიკის სასწავლებლებს. მაგალითად, ასეთია კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის კომპლექსი, რომელშიც შედის საცურაო აუზი, მძლეოსნური მანეჟი, სპორტთამაშების დარბაზები.

რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება კარპატები — დასვენებისა და სათხილამურო ტურიზმის ადგილი. ბაზა „ზაროსლიაკი" საქვეყნოდ სახელგანთქმულ სლავსკოეზე—სამთო-სათხილამურო სპორტის რესპუბლიკურ ცენტრზე ნაკლებ პოპულარული როდი იქნება. ზამთრის სპორტის მოყვარულთა მისაღებად უკვე მზადაა 100-ადგილიანი სასტუმრო, მთის ფერდობებზე იმუშავებს 1000-მეტრიანი საბაგირო ამწე, ლვოვის ოლქსა და ქალაქ კრემენეცში შენდება საციგაო ტრასები.

უკრაინის დედაქალაქში შენდება ყინულის სტადიონი 400-მეტრიანი ხელოვნური ყინულის ბილიკით, დახურული სარბიელით ფიგურული ციგურაობის ოსტატებისა და ჰოკეისტებისთვის (ბაზა 1975 წელს უნდა ჩადგეს მწყობრში).

შენდება სპორტული უკრაინა. ახლა რესპუბლიკაში 172.142 სპორტული ბაზაა: 825 სტადიონი, 11.000 სპორტული დარბაზი, 225 ზამთრის საცურაო აუზი და ბევრი სხვა. ყოველივე ეს რესპუბლიკის 10 მილიონზე მეტი ფიზკულტურელის განკარგულებაშია.

ა. ივანოვი.
(საკდესის კორ.).

კიევი.

ჩვენი მიზანი კომუნიზმია!

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

14 აგვისტოს გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

„დნეპრი" — „ზარია" 0:2. დნეპროპეტროვსკელთა გუნდმა, რომელიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფება, პირველი დამარცხება განიცადა საკუთარ მინდორზე. სტუმრებმა დიდი ოსტატობით ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ორივე ბურთი გაიტანა კუკსოვმა.

„ზენიტი" — „ფახთაქორი" 2:2. ლენინგრადელები ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მას შემდეგ, რაც ხაძიპანაგისმა და კორჩენოვმა 2 ბურთი გაიტანეს მათს კარში. მაგრამ მათ მაინც იხსნეს ქულა: 58-ე წუთზე ხრომჩენკოვმა გაქვითა პირველი გოლი, ხოლო 72-ე წუთზე ზინჩენკომ — მეორე.

„კარპატი" — „შახტიორი" 1:1. ანგარიში გახსნა ლვოველმა დანილიუკმა, საპასუხო გოლი კი შესვენების შემდეგ გაიტანა შევლიუკმა. უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულ იქნა დონეცკელი ჟუკოვი.

„ნისტრუ" — „ტორპედო" 0:3. ტორპედოელებმა კვლავ ნათლად დაამტკიცეს, რომ საბოლოოდ დააღწიეს თავი სეზონის დასაწყისის მძიმე კრიზისს. აუტსაიდერის კარში ბურთები გაიტანეს დექტიარევმა, ფილატოვმა, მაქსიმენკოვმა.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 18 | 9 | 8 | 1 | 27—10 | 26 |
| „ზენიტი" | 18 | 5 | 12 | 1 | 21—20 | 22 |
| „ჩერნომორ." | 17 | 7 | 7 | 3 | 27—21 | 21 |
| „სპარტაკი" | 18 | 7 | 7 | 4 | 18—15 | 21 |
| „ტორპედო" | 18 | 7 | 6 | 5 | 21—17 | 20 |
| „დნეპრი" | 18 | 6 | 7 | 5 | 17—17 | 19 |
| „არარატი" | 18 | 6 | 6 | 6 | 20—17 | 18 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 5 | 8 | 4 | 21—19 | 18 |
| „ფახთაქ." | 18 | 5 | 7 | 6 | 26—28 | 17 |
| „შახტიორი" | 18 | 4 | 9 | 5 | 17—19 | 17 |
| „ქაირათი" | 17 | 4 | 8 | 5 | 24—23 | 16 |
| ცსკა | 17 | 4 | 7 | 6 | 21—24 | 15 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 3 | 9 | 6 | 14—22 | 15 |
| „ზარია" | 18 | 4 | 6 | 8 | 22—25 | 14 |
| „კარპატი" | 18 | 2 | 9 | 7 | 13—20 | 13 |
| „ნისტრუ" | 18 | 3 | 6 | 9 | 24—36 | 12 |

# ფრე ლიდერთან

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 14 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 0:0.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, გავაშელი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია (ესებუა), რეხვიაშვილი (წერეთელი).

კიევი: რუდაკოვი, ბურიაკი (ვერემეევი), მატვიენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, ონიშჩენკო (ბლოხინი), კოლოტოვი, მასლოვი, შეპელი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 8:2 კიეველთა სასარგებლოდ.

1 ქულა ლიდერთან — ბევრია ეს თუ ცოტა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცოტა არ იყოს ძნელია. თუ მხედველობაში მივიღებთ თბილისელთა სატურნირო მდგომარეობას, 1 ქულა მინიმალური დოზაა მათთვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ლიდერის ახლანდელ ფორმას, მის მიერ რამდენიმე დღის წინ თასის მოგებას და ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის რეალურ შესაძლებლობებს, ფრე ამ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ დიდ დანაკარგად. კიეველები ასე იოლად არ აგებენ მატჩებს.

ქულა—ქულად, მაგრამ მაყურებელი ამჯერად განსაკუთრებული, საგანგებო ყურადღებით აკვირდებოდა თბილისელთა თამაშს და ეს გასაგებიცაა: ამ მატჩისთვის ისინი ახალი მწვრთნელის — მ. იაკუშინის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ, ამდენად საინტერესო იყო, რა სიახლეები იქნებოდა კოლექტივში ტაქტიკური თვალსაზრისით, მოთამაშეთა განლაგებით, თამაშის საერთო ორგანიზაციით.

რა თქმა უნდა, ასე მოკლე ხანში შეუძლებელია გუნდის თამაშში მოხდეს რადიკალური ხასიათის გარდაქმნები, მაგრამ ძვრები უკეთესობისკენ უდავოდ არის. მასპინძლები გამოიყურებოდნენ უფრო მობილიზებულად, იგრძნობოდა გამარჯვებისადმი სწრაფვა, მეტი მოძრაობა, დინამიურობა, თუმცა, გამოსასწორებელი ჯერ კიდევ საკმარისადაა.

განსაკუთრებით კარგად ითამაშეს თბილისელებმა პირველ ტაიმში. პირველი წუთებიდან დაწყებული იერიშები, მცირე გამონაკლისის გარდა, არ შეწყვეტილა თითქმის მთელი 45 წუთის მანძილზე. [illegible] და ნახევარდაცვა მთელი შემადგენლობით ჰყავდათ კონცენტრირებული საჯარიმო მოედანზე, რუდაკოვს არ გამოლევია სამუშაო, მაგრამ საკმარისი იყო მცირე შესაძლებლობა და სტუმრები მაშინვე გადადიოდნენ სახიფათო კონტრიერიშებზე.

შესვენების შემდეგ კიეველებმა მინდორზე თავიანთი უძლიერესი მოთამაშეები — ბლოხინი და ვერემეევი გამოიყვანეს, რაც მაშინვე დაეტყო გუნდის თამაშს. საერთო მდგომარეობა გათანაბრდა, მასპინძელთა იერიშებმა მოიკლო და ბრძოლამ შუა მინდორში გადაინაცვლა. მართალია, შემდგომშიც იყო თითო-ოროლა მომენტი ორივე კართან, მაგრამ ამას უკვე მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. 0:0 ბოლომდე შემორჩა ტაბლოს.

რ. ქორიძე.

# ტორპედოელებმა გაგვახარეს!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:0 (1:0).

„ტორპედო": გაბელია, კოხტავა, ფარულავა, ქვირია, კოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია, ფესტვენიძე, შენგელია (ბურკაძე), გაბიჩვაძე.

„ნეფთჩი": კრამარენკო, ყულიევი, კულამოვი, უზბეკოვი, მირზოიანი, აბასოვი, ჯავადოვი, ნურმამედოვი, ნაბაზოვი, ყურბანოვი, სმოლნიკოვი.

მსაჯი კ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები — 1:1.

ბაქოელთა გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და „უხერხული" მეტოქეა ტორპედოელთათვის. მათი შეხვედრების სტატისტიკა „ნეფთჩის" დიდ უპირატესობაზე მეტყველებს და ახლა, როცა ბაქოელები ლიდერები არიან და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას უმიზნებენ, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ ამ სტატისტიკაში თავიანთი ახალი წარმატების შესატანად.

ტორპედოელთა წინაშე უაღრესად ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა. მათ საკავშირო გათამაშებაში ზედიზედ 4 გასვლითი მატჩი აქვთ ჩასატარებელი და ქულათა მარაგის შევსება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ამას გარდა, ბოლოსდაბოლოს, როდესღაც ხომ უნდა მომხდარიყო გარდატეხა ტრადიციულად ძნელ მეტოქესთან?

და ქუთაისელმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ამ ამოცანას. გუნდი თამაშობდა არნახული მობილიზებით, ენერგიულად, კოლექტიურად, თითოეული მოთამაშე მაქსიმალური ძალით იბრძოდა საერთო წარმატებისთვის და კოლექტივმა ღირსეულად ჩაიწერა მეტად საჭირო გამარჯვება.

ის-ის იყო დაიწყო მატჩი და „ნეფთჩის" კარი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: ფესტვენიძე სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე, ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე, აქ საუკეთესო პოზიციაში გავიდა გაბიჩვაძე, რომელმაც ზუსტად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა — 1:0.

ბაქოელები არ შეუშინდნენ მარცხს. ისინი აქტიურად მოქმედებდნენ შუა მინდორში, დროული გადაცემებით სისტემატურად ამარაგებდნენ თავდამსხმელებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სმოლნიკოვი. ეს იყო მძლავრი შტურმი, რომლის დროსაც გაბელიამ ორჯერ იხსნა თავისი გუნდი თითქმის უიმედო სიტუაციაში.

ამ დროისთვის წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც საგრძნობლად გაართულა თამაშის პირობები, მაგრამ ტორპედოელებმა გამოიჩინეს მაღალი საბრძოლო თვისებები და კიდევ უფრო ძლიერად შეუტიეს მოპირდაპირეს. სტუმართა რიგებში თავი იჩინა ნერვიულობამ, ისინი ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯს, რისთვისაც გაფრთხილებულ იქნა მირზოიანი.

კიდევ უფრო უკეთესად, უფრო ტემპიანად და ენერგიულად მოქმედებდნენ ქუთაისელები შესვენების შემდეგ. მათი სწრაფი გარღვევები, ზუსტი გადაცემები ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა მეტოქეს. 57-ე წუთზე გათამაშებული იქნა სწრაფი კომბინაცია გაბიჩვაძე-შენგელია-გაბიჩვაძე და „ნეფთჩის" კარი მეორედ იქნა აღებული.

ბაქოელებს უკვე აღარაფერი ჰქონდათ დასაკარგი. ამიტომ ისინი გაძლიერებული ძალებით გადავიდნენ გადამწყვეტ იერიშზე. კვლავ ისახელა თავი გაბელიამ, მას უნარიანად ეხმარებოდნენ მცველები, ნახევარმცველები და მატჩის დასასრულისთვის ცხადი გახდა, რომ ქუთაისელი ფეხბურთელები არ დათმობდნენ მწვავე ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას. მაყურებელი გულთბილად მიესალმა თავის გუნდს, რომელმაც საუკეთესო თამაში აჩვენა და დაამარცხა გათამაშების ლიდერი.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებისთვის დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ ნ. სმოლნიკოვს და გ. გაბიჩვაძეს.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

• • •



სურათზე: ასეთ სურათს ხშირად ნახავდით სტუმართა საჯარიმო მოედანზე ტორპედოელთა იერიშების შემდეგ.

ავტორის ფოტო.

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სტროიტელი" (აშხაბადი) — „პამირი" (დუშანბე) 2:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:2, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 4:3, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „კუზბასი" (კემეროვო) 0:1, „დინამო" (მინსკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 4:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ზვეზდა" (პერმი) 6:0.

# „სიჭაბუკის თასზე"

ჩერკასკი, 16 აგვისტო. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების II ტურში საქართველოს წარმომადგენლებმა მარცხი განიცადეს სომხეთის გუნდთან შეხვედრაში — 0:2.

რსფსრ-ს ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 მოუგეს ბელორუსიის გუნდს, ხოლო უკრაინელებმა — უზბეკეთის ნაკრებს — 2:0.

# ფინალი — 21 აგვისტოს

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩები. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (თბილისი) დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო დაემარცხებინა თელავის „კახეთი" — 1:0. 2 დღე დაჭირდა ფინალისტის გამოვლენას ხაშურის „ივერიისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრაში. პირველი 120-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. განმეორებით მატჩში მეტალურგებმა 2 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში და გაიმარჯვეს — 2:0.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და რუსთავის „მეტალურგი". ეს მატჩი 21 აგვისტოს შედგება თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე. დასაწყისი 19 საათზე.

# ლაითურელთა წარმატება

15 აგვისტოს თბილისში შედგა „ოქროს თავთავის" ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელები.

ლაითურელებმა შეტევით დაიწყეს თამაში და უკვე 25-ე წუთზე გოგიბერიძემ გახსნა ანგარიში. ამ წარმატების შემდეგ ჩუმლაყელთა კართან კიდევ რამდენიმეჯერ შეიქმნა სახიფათო მომენტი, მეკარე მაისურაძეს მძიმე დატვირთვა დააწვა. ნარსიამ და გოგიბერიძემ 3:0-მდე აიყვანეს ანგარიში, ხოლო მენთეშაშვილმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

მატჩის დასასრული კვლავ ლაითურის გუნდის დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოოდ მისი დამაჯერებელი გამარჯვებითაც დამთავრდა — 6:1 (გოგიბერიძე, ნარსია, კილაძე).

გამარჯვებულს გადაეცა საპატიო პრიზი.

ზ. დოლენჯაშვილი.

# მთავარი სამზადისის ბოლო ეტაპი

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის (მექსიკა. 13-23 ოქტომბერი) მზადების პერიოდში ამხანაგური მატჩების მთელი სერია ჩაატარა. უკვე დაზუსტდა გუნდის ძირითადი შემადგენლობა, ჩამოყალიბდა თამაშის ტაქტიკური ნახაზი, გამოიკვეთა ცალკეულ ფრენბურთელთა ძლიერი და სუსტი მხარეები. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც გუშინ დაიწყო და ფრენბურთის მოყვარულთა უდიდესი ინტერესით სარგებლობს, ძირითადი სამზადისის ბოლო ეტაპი იქნება. ამიტომაც ანიჭებენ მის შედეგებს საბჭოთა გუნდის მწვრთნელები ვგზომ დიდ მნიშვნელობას.

მოსკოვის ტურნირში ვნახავთ მსოფლიო ფრენბურთის აღიარებულ ლიდერთა თამაშს, კერძოდ იაპონიის, აშშ-სა და კუბის ეროვნული გუნდების შესაძლებლობებს.

ამ ტრიოში ყველაზე დიდ ყურადღებას, ცხადია, იაპონელი ფრენბურთელები იპყრობენ. გუნდის სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია. საკმარისია აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაში იაპონელმა ფრენბურთელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს. საბჭოთა და იაპონელი სპორტსმენების შეხვედრებს მრავალი წლის ისტორია აქვს. ისინი წლეულსაც რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. უპირატესობა ამ მატჩებში საბჭოთა ფრენბურთელების მხარეს იყო.

არც ისე დიდი ხანია, რაც კუბა მსოფლიო ფრენბურთის ლიდერთა რიგში ჩადგა. თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა ბოლო წლებში ბევრ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. განსაკუთრებით საგულისხმოა მათ მიერ მოპოვებული ვერცხლის მედლები მოსკოვში, „უნივერსიადა — 73"-ის დროს.

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მესამე მონაწილე — აშშ-ს გუნდი უთანაბროდ გამოდის დიდ სარბიელზე, მაგრამ ნებისმიერ მომენტში შეუძლია უსიამოვნება მიაყენოს ლიდერებს. გაიხსენეთ თუნდაც 1968 წლის ოლიმპიური თამაშები მეხიკოში. ამერიკელმა ფრენბურთელებმა პირველსავე ტურში დაამარცხეს მთავარი ფავორიტი — სსრ კავშირის ნაკრები ანგარიშით 3:2. მართალია, ამ მარცხმა საბჭოთა სპორტსმენებს ხელი ვერ შეუშალა ოქროს მედლების მოპოვებაში, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიადის სენსაციას მაინც დიდი რეზონანსი ჰქონდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატშიც საბჭოთა და ამერიკელი ფრენბურთელები ერთ წინასწარ ჯგუფში იასპარეზებენ. ამიტომ მოსკოვის ტურნირში აშშ-ს ნაკრების თამაშს მოუთმენლად ელიან საბჭოთა სპეციალისტები.

# ჯონ ჰაველიჩეკი
# კარიმ აბდულ ჯაბარის წინააღმდეგ...

— მე და დონ ნელსონი, — აი, ვინ დავრჩით „სელტიკსის" ძველი დინასტიიდან, — ამბობს ჰაველიჩეკი. — ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია. მოთამაშეებიც ძლიერი გვყავს, თუმცა გამოცდილება ჯერ კიდევ აკლიათ. ვეცდებით არ შევარცხვინოთ „სელტიკსის" სახელი.

და აი, ნიუ იორკში მეხუთე შეხვედრა ჩატარდა. ამ მატჩს უნდა გადაეწყვიტა, „სელტიკსი" ახლავე გავიდოდა ფინალში, თუ შემდგომ უმძიმეს ბრძოლებში მოუხდებოდა გზის გაკაფვა. „ნიკსსაც" მოჭრილი ჰქონდა უკან დასახევი გზა. წაგებით იგი შემდგომ ბრძოლას გამოეთიშებოდა.

სამი პერიოდის შემდეგ ანგარიში იყო 80:79 „სელტიკსის" სასარგებლოდ. ყველაფერი ბოლო, მეოთხე პერიოდს უნდა გადაეწყვიტა.

ჰაველიჩეკმა და დეივ კოუნზმა „სელტიკსი" 8 ქულით დააწინაურეს. ამის პასუხად ფილ ჯექსონმა და ბილ ბრედლიმ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს — 88:87. მერე ჰაველიჩეკმა სამჯერ უნაკლოდ ტყორცნა — 94:87. ამას მყისვე მოჰყვა ბრედლის სნაიპერული ტყორცნა — 94:89, დეივ დებუშერის ბრწყინვალე გარღვევა და ისევ ბრედლის ტყორცნა — 94:93.

„ნიკსი" აშკარად ნადირობდა ჰაველიჩეკზე, მაგრამ ამაოდ. ანგარიში გახდა 105:93. ჰაველიჩეკმა და კოუნზმა დააწინაურეს „სელტიკსი". თამაშის დამთავრებამდე ერთი წამით ადრე ბრედლიმ საჯარიმოთი კიდევ ერთი ბურთი ჩააგდო — 105:94. „ბოსტონ სელტიკსი" ფინალში გავიდა — მეცამეტედ!

— უდიდესი გუნდი დავამარცხეთ, — თქვა „სელტიკსის" მწვრთნელმა ტომ ჰეინსონმა, — მაგრამ ჩვენებიც ბრწყინვალედ თამაშობდნენ. ახლა შეხვედრა გვექნება არანაკლებ მრისხანე მეტოქესთან — „მილუოკი ბაკსთან".

პროფესიული კალათბურთი დიდი ხანია ელოდა ასეთ ფინალს. სარბიელზე გამოვიდნენ „ბოსტონ სელტიკსი" და „მილუოკი ბაკსი". „კალათბურთის უნივერსიტეტი", როგორც „სელტიკსს" ეძახიან, იბრძოდა „კალათბურთელ მეამბოხეთა" წინააღმდეგ.

რომელი გაიმარჯვებს — ჯონ ჰაველიჩეკისა და დეივ კოუნზის გუნდი, თუ „ბაკსი", რომელსაც კარიმ აბდულ ჯაბარი მეთაურობს?

პირველი ორი შეხვედრა მილუოკიში „სელტიკსმა" ერთი დღით დააგვიანა, რადგან კლუბის ადმინისტრაცია ვიღაც უცნობმა ტელეფონით გააფრთხილა, თქვენს თვითმფრინავში ბომბია ჩადებულიო. პოლიციამ თვითმფრინავი გულდასმით შეამოწმა, მაგრამ ბომბი ვერ აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობამ ამჯობინა გუნდი ავტობუსით გაემგზავრებინა. ასე რომ, „სელტიკსი" პირდაპირ გზიდან მივიდა შეხვედრაზე, პირველ თამაშზე კალათბურთის ეროვნული ასოციაციის 7 უძლეველი ფინალური მატჩიდან.

„სელტიკსის" მწვრთნელებმა გადაწყვიტეს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ ჯაბარისთვის, „ბაკსის" ოთხი დანარჩენი მოთამაშე კი საიმედოდ ჩაეკეტათ. „მილუოკის" ცენტრის მოთამაშე კარიმ ჯაბარმა, რომელსაც თამაშის დაწყებამდე პრიზი გადასცეს, როგორც კალათბურთის ასოციაციის ყველაზე შედეგიან, ყველაზე „ძვირად ღირებულ" მოთამაშეს წლევანდელ სეზონში, მთელს მატჩში 35 ქულა დააგროვა, მისი ამხანაგები კი ვერაფერს გახდნენ „ბოსტონ სელტიკსის" დაცვასთან. ჯაბარის შემდეგ „ბაკსის" კალათბურთელებიდან ყველაზე მეტი ქულა (12-12) ბობ დენბრიჯმა და მიკი დევისმა დააგროვეს.

თავდასხმაში „სელტიკსი" სწრაფი გარღვევებით, მთელი მატჩის მანძილზე ძალისმიერად თამაშობდა.

პირველ პერიოდში „სელტიკსი" „ბაკსმა" სისწრაფითა და ტემპით გაასწრო... aoგნა. 12 წუთში მან 13 ქულა დააგროვა, აქედან 9 ეკუთვნოდა ჯაბარს, რომელიც ამ პერიოდში ძალიან კარგად თამაშობდა. მაგრამ დონ ნელსონმა ამას თამაშიდან სამი ზუსტი ტყორცნით უპასუხა, ხოლო ჰაველიჩეკის ორმა გარღვევამ ანგარიში გაათანაბრა.

შემდეგ კოუნზმა „სელტიკსი" წინ გაიყვანა. ეს თითქოს იერიშის სიგნალი იყო. თამაშის ბოლო ხუთ წუთში ანგარიში იყო 22:6 „სელტიკსის" სასარგებლოდ. რობერტსონის მიერ ნატყორცნმა ბურთმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 83:75. ამას მოჰყვა ჰაველიჩეკის ბრწყინვალე ტყორცნა 12 მეტრიდან. კოუნზმა კიდევ 3 ქულა მოუტანა გუნდს. ანგარიში გახდა 98:83 „სელტიკსის" სასარგებლოდ.

ერთი დღის შემდეგ „მილუოკი ბაკსმა" რევანში აიღო. თამაშის დამთავრებამდე 2 წუთითა და 20 წამით ადრე „მილუოკი" დაწინაურდა ჯაბარის ზუსტი ტყორცნის წყალობით — 96:94. როცა თამაშის დამთავრებას 30 წამი აკლდა, ისევ ჯაბარმა ჩააგდო ბურთი „სელტიკსის" კალათში. მან მატჩში 36 ქულა დააგროვა. შეხვედრის საბოლოო ანგარიში იყო 105:96.

„მილუოკი ბაკსში" ყველაზე შედეგიანად, ჯაბარის შემდეგ, ითამაშა დენბრიჯმა — 24 ქულა. „სელტიკსში" შედეგიანობით ყველას აჯობეს უაიტმა (25 ქულა), კოუნზმა (17) და ჰაველიჩეკმა (16), რომელმაც უკვე მეორე პერიოდში 6 პერსონალური შენიშვნა მიიღო.

მაშ ასე, პირველი შეხვედრები ფრედ დამთავრდა. წინ იყო ორი მატჩი ბოსტონში. 5 მაისს „სელტიკსმა" თავის მინდორზე დაამარცხა „ბაკსი" — 95:83. მატჩის გმირი იყო ბოსტონელთა გუნდის წევრი, ცენტრის მოთამაშე, 32 წლის ჰენრი ფინკელი. კოუნზმა გუნდს 30 ქულა მოუტანა, ჰაველიჩეკმა — 28. ფინკელმა შეძლო ჩაეკეტა ჯაბარი, რაც მანამდე ეროვნული ასოციაციის ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ მოახერხა.

— ჰენრიმ ძალიან კარგად ითამაშა. „სელტიკსმა" მისი წყალობით გაიმარჯვა, — თქვა რედ აუერბახმა.

როცა ვამბობთ, რომ ფინკელმა ჯაბარი ჩაკეტა, ეს, რა თქმა უნდა, პირობითია, ვინაიდან ამ უკანასკნელმა „ბაკსს" 28 ქულა მოუტანა. მაგრამ ჯაბარისთვის ეს შედეგიც დაბალია.

„სელტიკსმა" ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. „ბაკსმა" პირველივე შემდგომ შეხვედრაში გაათანაბრა ანგარიში. უეინ ემბრიმ, „მილუოკის" მენეჯერმა, მისივე თქმით, „გამარჯვების სიგარა" მოსწია. მენეჯერმა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიკი დევისი მიიჩნია.

ლერი კოსტელომ, „ბაკსის" მწვრთნელმა, 23 წლის დევისი მოედანზე გამოიყვანა დაცვის მოთამაშე ფრედ უილიამსის მაგიერ, რომელიც დაშავდა და შეხვედრა ველარ გააგრძელა. პირველ პერიოდში დევისმა 15 ქულა დააგროვა.

— „სელტიკსთან" თამაშის დროს მთავარია მას თავი ისე მოაჩვენო, თითქოს მჭიდე მეურვეობისა არ გეშინია. თუ პირველ ხუთ წუთში მიაღწიე ამას, ჩათვალე, რომ მატჩი მოგებული გაქვს, — თქვა შეხვედრის შემდეგ დევისმა.

— მიკი საერთოდ შესანიშნავად ტყორცნის და მოედანზეც ჭკვიანურად მოქმედებს, მაგრამ „სელტიკსთან" ასე თამაში მხოლოდ ექსტრაკლასის კალათბურთელებს შეუძლიათ, — განაცხადა კოსტელომ.

ბრწყინვალედ ითამაშეს რობერტსონმა, რომელმაც ცხრაჯერ ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში, და დენბრიჯმა, რომელმაც 21 ქულა დააგროვა. როგორც მუდამ, მძლავრად და შედეგიანად თამაშობდა კარიმ აბდულ ჯაბარი — 34 ქულა. მან თოთხმეტჯერ ჩამოხსნა ბურთი ფარიდან. ჯაბარსვე ეკუთვნის ამ მატჩში 6 შედეგიანი გადაცემა.

საბოლოოდ ანგარიში იყო 97:89 „ბაკსის" სასარგებლოდ.

ფინალურმა ბრძოლებმა აპოგეას მიაღწია. ოთხი მატჩის შემდეგ ანგარიში 2:2 იყო. სპეციალისტების აზრით, „მილუოკის" ორი თამაში „სელტიკსს" კარგს არაფერს უქადდა. „ბაკსი" განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს თავის მოედანზე, ამასთან, ბოსტონელთაგან ბევრი დაშავებული იყო. პირველ დღეს „ბაკსმა" მთელი ძალა ჩააქსოვა ბრძოლაში. ბრწყინვალედ თამაშობდა რობერტსონი, რომელმაც 42 ქულა დააგროვა. ძალიან საიმედოდ თამაშობდა დაცვაში ჯაბარი. „სელტიკსი" დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 82:82. დამატებითს ხუთ წუთში რობერტსონმა, რომელმაც ფინტით ჩამოიტოვა „სელტიკსის" ორი მოთამაშე, ულამაზესი ტყორცნით დააგვირგვინა თავისი გუნდის გამარჯვება — 105:96.

მაგრამ ცდებოდა, ვისაც ეგონა, რომ „სელტიკსი" სულით დაეცემოდა. ეროვნული ასოციაციის თორმეტგზის ჩემპიონმა მეორე შეხვედრაში მაყურებელს უჩვენა ბრწყინვალე საკალათბურთო კონცერტი გამორჩენილი ვირტუოზის ჰაველიჩეკის მონაწილეობით. ჰაველიჩეკმა, რომელიც, არ დაგავიწყდეთ, დაცვაში თამაშობდა, 51 ქულა დაიმსახურა! 101:97 „სელტიკსის" სასარგებლოდ. ანგარიში კვლავ სწორი გახდა — 3:3. წინ იყო გადამწყვეტი შეხვედრა ბოსტონში, მატჩი, რომელსაც უნდა დაესახელებინა ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი 1973-74 წლებში.

აი, რას წერს ამ მატჩზე კალათბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი უოლტერ კენედი: „თითქმის ნახევარი საუკუნეა თვალს ვადევნებ ეროვნული ასოციაციის ფინალურ მატჩებს, მაგრამ ესოდენ დაძაბული ბრძოლა, დიდი ტემპერამენტისა და ბრწყინვალე ტექნიკის ასე ლამაზად შერწყმა ჯერ არ მინახავს. ალბათ თვით ჩემბერლენსაც არ გაუკეთებია მოედანზე ის, რასაც ახლა ჯაბარი აკეთებდა. რობერტსონი კალათბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატია. მაგრამ „სელტიკსი" ხომ ვარსკვლავია და, თანაც, ამ გუნდში ჯონ ჰაველიჩეკი თამაშობს.

დიახ, ვარსკვლავებმა, „მილუოკი ბაკსმა", ჯაბარმა და რობერტსონმა უმაღლესი კლასით მოხიბლეს მაყურებელი, მაგრამ „სელტიკსმა" გაუძლო უმძაფრეს იერიშებს პირველ ორ პერიოდში და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს იყო ძველი მეტოქეების ბრძოლა, სადაც გამარჯვება უკეთესი დისციპლინის მქონე გუნდს დარჩა. „სელტიკსის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ჰაველიჩეკი — 34 ქულა. „ბაკსში" ამ მხრივ ყველას სჯობდა ჯაბარი — 41 ქულა.

უ. კენედიმ მეცამეტედ გადასცა ჩემპიონთა თასი „ბოსტონ სელტიკსს".

ჩემპიონატის დირექტორატმა დაასახელა საუკეთესონი. ყველაზე უკეთეს ცენტრის მოთამაშედ აღიარეს კარიმ აბდულ ჯაბარი, მცველად — ჯონ ჰაველიჩეკი, თავდამსხმელად — „ჩიკაგო ბალზის" წევრი რეი კლიფორდი.

შედგა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ორი სიმბოლური ვარსკვლავების ნაკრები. პირველში შევიდნენ: კარიმ ჯაბარი, ჯონ ჰაველიჩეკი, ოსკარ რობერტსონი, რეი კლიფორდი, პიტერ მარავიჩი; მეორეში: გეილ გუდრიჩი („ლეიკერსი"), ბობ მაკადუ („ბუფალო ბალზი"), ჯიმ კლემონსი („კლივლენდ კავალიერზი"), ჯო უაიტი („სელტიკსი") და ბილ ბრედლი („ნიკერბოკერსი").

ეროვნული ასოციაციის ყველაზე შედეგიან და „ძვირფას" კალათბურთელად, როგორც ვთქვით, მიჩნეულია ჯაბარი.

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის 1973-74 წლების სეზონი დამთავრდა. მან ბევრი სიხარული მოუტანა კალათბურთის მოყვარულებს, ბევრი ბრწყინვალე მატჩით დაატკბო ისინი. ეს სეზონი ხარვეზრდო იყო მოთამაშეთა ტრავმების რიცხვითაც (დაშავდნენ სახელგანთქმული უილტონ ჩემბერლენი და ჯერი უესტიც), ტრიბუნებზე მომხდარი უბედური შემთხვევებითაც (შვიდი კაცი მოკვდა სპორტის სასახლის ტრიბუნებზე გულის შეტევით, 53 მაყურებელი დაშავდა განსაკუთრებით დაძაბული მატჩების დროს, 248 კაცი პოლიციამ დააპატიმრა). ყველაზე მთავარი რეკორდი კი, რა თქმა უნდა, იყო საზღაპრო შემოსავალი, რომელიც ამ მატჩებმა მისცა კალათბურთის საქმოსნებს.

გამოცხადდა იმ მოთამაშეთა გვარები, რომლებიც მომავალ სეზონში კალათბურთის ეროვნული ასოციაციის გუნდებში გამოვლენ. საგანგებო აგენტებმა ისინი სტუდენტთა გუნდებში შეარჩიეს. მაგალითად, კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდის სახელგანთქმული ცენტრის მოთამაშე ბილ უოლტონი მომავალ სეზონში პორტლენდის „ტრეილ ბლეიზერსში" გამოვა, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის სუპერ-ვარსკვლავი პიტ მარავიჩი, რომელმაც პროფესიული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე „ძვირ" კონტრაქტს მოაწერა ხელი („ატლანტა ჰოუკსში" თამაშისთვის 2 მილიონი დოლარი მისცეს), ნიუ ორლეანის გუნდში გადავიდა. რამდენი გადაიხადეს გუნდის ხელმძღვანელებმა „პიტპისტოლეტში", არავინ იცის. ეს საიდუმლოა. მაგრამ ერთი რამ უდავოა: შემოსავალი, რომელსაც მარავიჩის თამაში მისცემს გუნდს, ბევრად მეტი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე.

შეფერხდა ორი პროფესიული ლიგის — კალათბურთის ეროვნული ასოციაციისა და კალათბურთის მსოფლიო ასოციაციის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელთა (სხვათა შორის, მსოფლიო ასოციაციის წლევანდელ ჩემპიონატში გაიმარჯვა „ნიუ იორკ ჯეტსმა") მოლაპარაკება ამ ლიგების ნაკრები გუნდების საჩვენებელ შეხვედრათა შესახებ.

— როგორც ჩანს, ეს ჩემთვის ბოლო ჩემპიონატი იყო, — უთხრა კორესპონდენტებს ჩემბერლენმა. — კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მატჩები ბრწყინვალე კალათბურთის ნიმუშია, მაგრამ ამ მატჩებს განუწყვეტელი ტრავმებიც თან სდევს. კალათბურთი, ჩვენ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად გვიჯდება.

არ შეიძლება ამ ბრწყინვალე კალათბურთელის სიტყვებს არ დაეთანხმო.

**თ. ჯაფარიძე.**

* * *



სურათზე: ძალიან, ძალიან უჭირს კ. რეის „გაექცეს" მეტოქე გუნდის მოთამაშე ლ. ალსინდორს.

დასასრული. იხ. „ლელო" № 181.

## გულშემატკივრების საჩუქარი

ამას წინათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფეხბურთელთა კლუბის „დურბანის" მეკარემ მეტად უცნაური საჩუქარი მიიღო გულშემატკივრებისგან: მას საზეიმო ვითარებაში გადაეცა მოოქრული ხელი შუაში დიდი ნახვრეტით.

ჯილდო ჰარი ვოლტმა უთუოდ დაიმსახურა. ხუმრობა ხომ არ არის, ჩემპიონატის ათ მატჩში მან 40 გოლი გაუშვა. ვოლტმა განსაკუთრებით „ეფექტურად" ითამაშა ჩემპიონატის ლიდერთან — „ბოკერთან". 90 წუთის მანძილზე მისი კარი 11-ჯერ აიღეს.

ძნელი საფიქრელია, რომ ვინმემ გააუმჯობესოს ვოლტის რეკორდი.

## „წყლის მჭრელი" ცხვირი

დასავლეთგერმანელმა მოცურავემ ვ. ლამპემ მიუნხენში გამართული შეჯიბრების წინ სამართებლით გადაიპარსა თავი — ეს ხელს შემიწყობს გამარჯვებაში, ვინაიდან წყლის წინააღმდეგობას უფრო ადვილად დავძლევო.

ლამპეს ამ ნოვატორობამაც ვერ უშველა. მაშინ სპორტსმენმა ახალი, „ბრძნული" გადაწყვეტილება მიიღო: გაიკეთა ცხვირის პლასტიკური ოპერაცია. ახალმა ცხვირმა „წყლის მჭრელის" მაგივრობა უნდა გასწიოს. ლამპე ჯერ საავადმყოფოშია, მაგრამ სულ მალე ვარჯიშს დაიწყებს და თავის თავს შეჯიბრებაში გამოცდის.

## ტურიზმის „მტერი"

მარტოხელა ტურისტი მშვიდად მიემგზავრებოდა თავისი ველოსიპედით ბრნოში. უეცრად მას თავს დაესხა მთის თხა. მცირედი შეტაკების შემდეგ მშვიდობისმოყვარე ტურისტი თხრილში აღმოჩნდა.

თხამ კი... ინტერესით დაყნოსა გზის პირას დაგდებული ველოსიპედი, შეათვალიერა გზა და იქვე მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. ამ შემთხვევის გამო ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „მლადა ფრონტა" ხუმრობით აღნიშნავს, რომ ტურიზმის მოყვარულებს ამიერიდან უნდა ვასწავლოთ აგრესიული თხებისგან თავის დაცვაო.

რედაქტორი შ. პაპაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 17 აგვისტო. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი). დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მისწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-58, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.